პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის **„ოპიზარი“** დირექტორის
27/05/2026 წლის #624562 ბრძანებით

სსიპ კოლეჯი "ოპიზარი”
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება

საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი: ახალციხე, შოთა რუსთაველის ქ. 111
ტელეფონი: T-591411272 ;
ელ-ფოსტა: opizari2011@gmail.com
ვებგვერდი: http://opizarivet.ge/
პროგრამის ხელმძღვანელი: დემური ბოდოკია

2026

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე)** - მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება/Light vehicle internal combustion engine repair
2. **სარეგისტრაციო ნომერი** - 07.34.1
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე)** – საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთებაში /Basic Vocational Qualification in Light vehicle internal combustion engine repair
4. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია,** უზრუნველყოს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შემკეთებლის მომზადება.
5. **კვალიფიკაციის დონე**

5.1 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - მესამე დონე

6. **კლასიფიკაციის აღწერა**

6.1 ISCED კოდი და აღწერა : 0716 - ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები - *შეისწავლის ძრავიანი ტრანსპორტის (მათ შორის, დედამიწაზე მოძრავი მანქანები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, გემები, მატარებლები, საფრენი აპარატები) დაპროექტებას, განვითარებას, წარმოებას, შენარჩუნებას, ხარვეზების დიაგნოსტიკას, რემონტსა და მომსახურებას.*

6.2 ISCO კოდი : 7231 - ავტომობილების მექანიკოსები და ამწყობები

6.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი : 45.20.0 ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი

7. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასაქმების შესაძლებლობები:** მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შემკეთებელს შეუძლია დასაქმდეს ავტომწარმოებლების ლიცენზირებულ სერვის ცენტრებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისის სფეროში მოღვაწე სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციებში, ასევე მიღებული ცოდნა და უნარები შეუძლია გამოიყენოს თვითდასაქმებისთვის.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

8.1 საბაზო ზოგადი განათლება;

9. სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- უზრუნველყოს სამუშაოების წარმოება სატრანსპორტო საქმის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესების გათვალისწინებით
- განახორციელოს საავტომობილო შიგა წვის ძრავას ამოღება-ჩადგმა
- განახორციელოს საავტომობილო შიგა წვის ძრავას მექანიზმების სერვისი
- განახორციელოს საავტომობილო შიგა წვის ძრავას შეზეთვა-გაგრილების სისტემის სერვისი
- განახორციელოს საავტომობილო შიგა წვის ძრავას საწვავით კვების და ჰაერის მიწოდების სისტემის სერვისი

10. **სწავლის შედეგების დეტალური აღწერა**

მოდული	პროფესიული უნარები	პროფესიული ცოდნა	*საკვანძო კომპეტენციები*							
			მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია	*უცხო ენაზე კომუნიკაცია*	*მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში*	*ციფრული კომპეტენცია*	*დამოუკიდებლად სწავლის უნარი*	*პიროვნებათაშორისი და მოქალაქეობრივი კომპეტენციები*	*მეწარმეობა*	*კულტურული გამომხატველობა*
შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა ავტოსერვისში	• იცავს პირადი ჰიგიენის ნორმებს; • არჩევს სათანადო მოწყობილობებს და იარაღებს; • იმარაგებს სათანადო ხელსაწყო-იარაღებს; • მომხმარებლის კუთვნილ ავტომობილში იცავს ჰიგიენის	**იცის:** • ხელსაწყო-იარაღების სპეციფიკაციები და მათი მოხმარების ინსტრუქციები; • მოწყობილობებისა და იარაღების გამოყენების მეთოდები;	✓		✓	✓	✓	✓		✓

	ნორმებს; • აკონტროლებს შრომის უსაფრთხოების პირობებს;	• უნიფორმის დანიშნულება; • ჰიგიენის ნორმების დაცვის მნიშვნელობა პროფესიული იმიჯისა და საქმიანობისათვის; • ავტომობილის მექანიკური დაზიანებისაგან დაცვის დამხამარე საშუალებები; • ავტომანქანის სისუფთავის დაცვისათვის დამხმარე საშუალებების დანიშნულება; • საწმენდი საშუალებებისა და ხელსაწყოების მართებულად შერჩევის მეთოდები; • ინფორმაციის მიწოდების გზები და ხერხები; • დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების ნორმები.								
საავტომობილო შიგა წვის ძრავას ამოღება-ჩადგმა	• ხსნის გაგრილების სისტემის მილებს • ხსნის ძრავასთან მიმავალ ელექტრო გაყვანილობის კაბელებს • ხსნის შემშვებ კოლექტორს • ხსნის გამშვებ კოლექტორს • ხსნის საწვავის მიწოდების მაგისტრალს • ხსნის ძრავას სამაგრებს • აცალკევეს ძრავას გადაცემათა	**იცის:** • ძრავას მოწყობა; • ძრავას ტიპები განლაგების მიხედვით • ბენზინზე მომუშავე ძრავას მუშაობის პრინციპი; • დიზელზე მომუშავე ძრავას მუშაობის პრინციპი; • გადაცემათა კოლოფის მოწყობა	✓		✓	✓	✓	✓		✓

	კოლოფისგან • აწარმოებს ძრავას დემონტაჟს • ხსნის ძრავზე დამონტაჟებულ დამატებით აგრეგატებს • ამონტაჟებს ძრავს; • აწარმოებს ძრავას დემონტაჟის დროს მოხსნილი დეტალების და მაგისტრალების დაერთებას • აწარმოებს დამონტაჟებული ძრავას დიაგნოსტიკას	• ძრავას საწვავის მიწოდების მაგისტრალის მოწყობა • ძრავას ნამწვი აირების გამოსაბოლქვი სისტემის მოწყობა • ძრავას ჰაერის მიწოდების სისტემის მოწყობა • ძრავას პირველადი დეფექტაციის მეთოდები • ძრავას შესაძლო დეფექტები; • ძრავას სისტემები და მექანიზმები; • ძრავას კავშირები ავტომობილის ჩარჩოსა და სხვა მექანიზმებთან.								
საავტომობილო შიგა წვის ძრავას მექანიზმების სერვისი	• ხსნის მუხლა ლილვს; • ამოწმებს ძირითად და საბარბაცე სადებებს; • ამოწმებს ბარბაცას ,ზედა და ქვედა თავს; • ამოწმებს დგუშს, თითს, მუხლა ლილვს, ჩობალებს, ძრავას ბლოკს და ცილინდრის კედლებს • ამოწმებს რგოლებს; • ცვლის უწესივრო დეტალებს; • აწყობს მრუდმხარა ბარბაცა მექანიზმს და აწარმოებს შემდგომ დიაგნოსტიკას • ამოწმებს აირგამანაწილებელ ლილვს;	**იცის:** • მრუდხარა-ბარბაცა მექანიზმის კონსტრუქცია; • მრუდხარა-ბარბაცა მექანიზმის მუშაობის პრინციპი; • მრუდხარა-ბარბაცა მექანიზმის შესაძლო მტყუნებები. მრუდხარა ბარბაცა მექანიზმის დიაგნოსტიკის მეთოდები • აირგამანაწილებელი მექანიზმის მოწყობა; • აირგამანაწილებელი	✓		✓	✓	✓	✓		✓

	• ამოწმებს ცილინდრების სახურავს; • ამოწმებს სარქველებს; • ახდენს სარქველების ბუდეზე მორგებას-მიხეხვას; • ცვლის უწესივრო დეტალებს; • ამოწმებს ჯაჭვს/ღვედს • ამოწმებს ჯაჭვის ღვედის დამჭიმ მექანიზმს • ახდენს გამანაწილებელი ლილვის დასინქრონებას მუხლა ლილვთან • აწყობს აირგამანაწილებელ მექანიზმს და აწარმოებს შემდგომ დიაგნოსტიკას	მექანიზმის შესაძლო მტყუნებები. აირგამანაწილებელი მექანიზმის დიაგნოსტირების მეთოდები								
საავტომობილო შიგა წვის ძრავას შეზეთვა-გაგრილების სისტემის სერვისი	• აწარმოებს შეზეთვამდე სისტემის დიაგნოსტიკას • ხსნის უწესივრო კვანძებს და დეტალებს; • რეცხავს მოხსნილ ნაწილებს; • ახარისხებს მოხსნილ ნაწილებს; • აღმოფხვრის გამოვლენილი უწესივრობებს დეტალების შეცვლით; • აწყობს დაშლილ კვანძებს; • აწყობს შეზეთვის სისტემას; • ასხამს ზეთს; • აწარმოებს შემდგომ დიაგნოსტიკას • აწარმოებს გაგრილების სისტემის დიაგნოსტიკას • ხსნის უწესივრო კვანძებს და დეტალებს; • რეცხავს მოხსნილ ნაწილებს; • ახარისხებს მოხსნილ ნაწილებს; • აღმოფხვრის გამოვლენილ უწესივრობებს დეტალების შეცვლით; • აწყობს დაშლილ კვანძებს;	**იცის:** • შეზეთვის სისტემის მოწყობილობა; • შეზეთვის სისტემის მუშაობის პრინციპი; • შეზეთვის სისტემის შესაძლო მტყუნებები. • ზეთის მახასიათებლები, დაშვებები და განსხვავებები მათ შორის • შეზეთვის სისტემის დიაგნოსტიკის მეთოდენი • გაგრილების სისტემის მოწყობილობა; • გაგრილების სისტემის მუშაობის პრინციპი; • გაგრილების სისტემის შესაძლო მტყუნებები. • ანტიფრიზის ტიპები და განსხვავებები მათ შრის • გაგრილების სისტემის	✓		✓	✓	✓	✓		✓

	• აწყობს გაგრილების სისტემას; • ასხამს სითხეს; • აწარმოებს შემდგომ დიაგნოსტიკას	დიაგნოსტიკის მეთოდები								
საავტომობილო შიგა წვის ძრავას საწვავით კვების და ჰაერის მიწოდების სისტემის სერვისი	• აწარმოებს კვების და ჰაერის მიწოდების სისტემის დიაგნოსტიკას • ხსნის უწესივრო კვანძებს და დეტალებს; • რეცხავს მოხსნილ ნაწილებს; • ახარისხებს მოხსნილ ნაწილებს; • აღმოფხვრის გამოვლენილი უწესივრობებს დეტალების შეცვლით; • აწყობს დაშლილ კვანძებს; • აწყობს კვების და ჰაერის მიწოდების სისტემას; • აწარმოებს შემდგომ დიაგნოსტიკას • აწარმოებს კვების და ჰაერის მიწოდების სისტემის დიაგნოსტიკას • ხსნის უწესივრო კვანძებს და დეტალებს; • რეცხავს მოხსნილ ნაწილებს; • ახარისხებს მოხსნილ ნაწილებს; • აღმოფხვრის გამოვლენილი უწესივრობებს დეტალების შეცვლით; • აწყობს დაშლილ კვანძებს; • აწყობს კვების და ჰაერის მიწოდების სისტემას; • აწარმოებს შემდგომ დიაგნოსტიკას	**იცის:** • ბენზინზე მომუშავე ძრავას კვების და ჰაერის მიწოდების სისტემის ტიპები და მოწყობილობა; • ბენზინზე მომუშავე ძრავას კვების და ჰაერის მიწოდების სისტემის მუშაობის პრინციპი; • ბენზინზე მომუშავე ძრავას კვების და ჰაერის მიწოდების სისტემის შესაძლო მტყუნებები. ბენზინზე მომუშავე ძრავას კვების და ჰაერის მიწოდების სისტემის დიაგნოსტიკის მეთდები • დიზელზე მომუშავე ძრავას კვების და ჰაერის მიწოდების სისტემის ტიპები და მოწყობილობა; • დიზელზე მომუშავე ძრავას კვების და ჰაერის მიწოდების სისტემის მუშაობის პრინციპი; • დიზელზე მომუშავე ძრავას კვების და ჰაერის მიწოდების სისტემის შესაძლო მტყუნებები. დიზელზე მომუშავე ძრავას კვების და ჰაერის მიწოდების სისტემის	✓		✓	✓	✓	✓		✓

		დიაგნოსტიკის მეთდები								
გაცნობითი პრაქტიკა	• ეცნობა პროფესიასთან დაკავშირებულ არსებულ და უახლეს ტექნოლოგიებს; • ეცნობა ავტომწარმოებლების განახლებულ ტერმინოლოგიას • ესწრება პროფესიულ ტრენინგებს;	**იცის:** • ავტომწარმოებლების ტერმინოლოგია • ახალი ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის მოძიების, განახლების გზები და ხერხები; • პროფესიული ტრენინგის მნიშვნელობა პროფესიული განვითარებისათვის.	✓		✓	✓	✓	✓		✓

11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ითვალისწინებს 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 53 კრედიტის მოცულობით და 1 ზოგად მოდულს ჯამური 3 კრედიტის მოცულობით.

„მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთებაში“ პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 56 კრედიტის დაგროვება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“** ხორციელდება იმიტირებული მიდგომით სსიპ კოლეჯში **„ოპიზარი“** ქ. ახალციხე შოთა რუსთაველის ქ. 111

მოდულის „ქართული ენა“ A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობების" 24 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით, მათ შორის, 15 კრედიტი განკუთვნილია „ქართული ენა A2" სწავლებისათვის. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის სულ 81 კრედიტი. კოლეჯი უფლებამოსილია ზემოაღნიშნული წესით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ პროგრამით გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.

- **მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის: 56** კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა**: 12 თვე
- **მოცულობა არაქართულენოვან სტუდენტებისათვის:** 71კრედიტი,
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 15 თვე

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდულები			
უცხოური ენა	3		
პროფესიული მოდულები			
გაცნობითი პრაქტიკა	2	✓	
კომპიუტერული სადიაგნოსტიკო მოწყობილობის პროგრამული ინტერფეისი	2		
სამეწარმეო საქმიანობა ავტოსერვისში	3		
ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია	2		
ავტომობილის მოწყობილობა	12		
ელექტროობის საფუძვლები და ავტომობილის ელექტრომოწყობილობა	4	✓	
შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა ავტოსერვისში	3	✓	
დამკვეთთან ურთიერთობა	2	✓	
ავტოსერვისის საზეინკლო სამუშაოები	2	✓	
საავტომობილო შიგა წვის ძრავას ზოგადი დიაგნოსტიკა	2	√	
საავტომობილო შიგა წვის ძრავას ამოღება-ჩადგმა	4	√	
საავტომობილო შიგა წვის ძრავას შეზეთვა-გაგრილების სისტემის სერვისი	3	√	
საავტომობილო შიგა წვის ძრავას საწვავით კვების და ჰაერის მიწოდების სისტემის სერვისი	4	√	
საავტომობილო შიგა წვის ძრავას მექანიზმების სერვისი	6	√	
ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები	2		
სულ კრედიტები	56		

12. დამატებითი ინფორმაცია

12.1 სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

12.1 სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება
პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.
საგანმანათლებლო სტანდარტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება
- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა
- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

12.2 კვალიფიკაციის მინიჭება
საბაზო კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა, უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება „** განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12 პუნქტის 12.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი № 1.1-სასწავლო გეგმა

მოდულები:

დანართი 1.2 უცხოური ენა (ინგლისური ენა)

დანართი 1.3 გაცნობითი პრაქტიკა

დანართი 1.4 კომპიუტერული სადიაგნოსტიკო მოწყობილობის პროგრამული ინტერფეისი

დანართი 1.5 სამეწარმეო საქმიანობა ავტოსერვისში

დანართი 1.6 ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია

დანართი 1.7 ავტომობილის მოწყობილობა

დანართი 1.8 ელექტროობის საფუძვლები და ავტომობილის ელექტრომოწყობილობა

დანართი 1.9 შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა ავტოსერვისში

დანართი 1.10 დამკვეთთან ურთიერთობა

დანართი 1.11 ავტოსერვისის საზეინკლო სამუშაოები

დანართი 1.12 საავტომობილო შიგა წვის ძრავას ზოგადი დიაგნოსტიკა

დანართი 1.13 საავტომობილო შიგა წვის ძრავას ამოღება-ჩადგმა

დანართი 1.14 საავტომობილო შიგა წვის ძრავას შეზეთვა-გაგრილების სისტემის სერვისი

დანართი 1.15 საავტომობილო შიგა წვის ძრავას საწვავით კვების და ჰაერის მიწოდების სისტემის სერვისი

დანართი 1.16 საავტომობილო შიგა წვის ძრავას მექანიზმების სერვისი

დანართი 1.17 ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები

დანართი 1.18 ქართული ენა A2

პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისათვის პარტნიორ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებები:

ი/მ ტარიელ არგანაშვილი **ხელშეკრულება** #5 12.02.2026
შპს „სალო“ **ხელშეკრულება** #6 12.02.2026